

2021

შპს მილი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2021

შპს მილი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება	8
4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8
5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8
6. მარაგები	8
7. კაპიტალი	9
8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9
9. საგადასახადო ვალდებულებები	9
10. ამონაგები	9
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
13. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	10
14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	10
15. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ	10
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	10

შპს მილი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20	31-12-19
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	628,478	545,993	427,992
სულ გრძელვადიანი აქტივები		628,478	545,993	427,992
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	137,508	62,302	21,218
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	431,351	345,749	378,334
მარაგები	6	210,339	113,290	120,595
სულ მოკლევადიანი აქტივები		779,199	521,341	520,147
მთლიანი აქტივები		1,407,677	1,067,334	948,139
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		900	900	900
დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		118,605	(108,965)	(69,853)
სულ კაპიტალი	7	119,505	(108,065)	(68,953)
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	51,682	188,224	284,747
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1,805	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	9	18,778	12,485	48,576
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		1,215,907	974,690	683,769
სულ ვალდებულებები		1,288,172	1,175,398	1,017,092
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,407,677	1,067,334	948,139

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 3 ოქტომბერს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს მილი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	10	2,762,189	1,447,685
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(2,079,671)	(1,157,294)
საერთო მოგება		682,518	290,391
დასაქმებულთა ანაზღაურება		(220,523)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(59,696)	(152,415)
ცვეთა და ამორტიზაცია		(55,175)	(43,665)
სხვა ხარჯები		(8,233)	(162,821)
სულ საოპერაციო ხარჯები		(343,626)	(358,901)
საოპერაციო მოგება		338,891	(68,510)
საპროცენტო შემოსავალი		14,612	5,432
საპროცენტო ხარჯი		(51,315)	(45,491)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		7,026	69,457
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(6,846)	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	13	445	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(941)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		301,873	(39,112)
მოგების გადასახადი		(11,146)	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		290,727	(39,112)

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 3 ოქტომბერს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს მილი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის	900	(69,853)	(68,953)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(39,112)	(39,112)
გადახდილი დივიდენდები		-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	900	(108,965)	(108,065)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		290,727	290,727
გადახდილი დივიდენდები		(63,158)	(63,158)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	900	118,604	119,504

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 3 ოქტომბერს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს მილი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია **შპს მილი** დაფუძნდა 2015 წლის 17 ივნისს და დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით : 400147872 . კომპანიას ჰყავს 100% იანი წილის მფლობელი ივეტა დოდაშვილი, პირადი ნომრით : 01001025359. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საბითუმო ვაჭრობას რკინა-კაველის ნაწარმით, წყალსადენისა და გათბობის მოწყობილობებით. კომპანიაში საშუალოდ დასაქმებულთა რიცხვია 14 ადამიანი.

კომპანიის იურიდიული მისმართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანი, IV მ/რ, კორ. №105, ბ. №50.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიჯცვის საერთაშოლო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგებების სტანდარტის (IFRS for SME) მიხედვით.

კომპანიამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შელავათი, რაც ეხება ფულადი ნაკადების ნებაყოფლობით წარდგენას, რის გამოც არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესადარის ინფორმაციას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანია ფინანსური ანგარიშგებას წარადგენს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები.

გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს

აშშ დოლარი	ევრო
3.0976	3.5040

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღირიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალება	5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამას. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადამზღვრვო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოღინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება

დასახელება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა- ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	ლფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ
თვითღირებულება 01.01.2021	55,000	60,430	283,640	233,972	1,017	-	19,262	653,321
შემოსვლა	80,000	28,024		28,935		700		137,660
გასვლა								-
ნაშთი 31.12.2021	135,000	88,454	283,640	262,908	1,017	700	19,262	790,981

დაგროვილი ცვეთა

დასახელება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა- ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	ლფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ
დაგროვილი ცვეთა 01.01.2021	-	-	41,287	64,932	67	-	1,042	107,328
წლიური ცვეთა	-	-	18,668	33,806	203	91	2,406	55,175
გასული აქტ.დაგრ ცვეთა -	-	-						-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	-	-	59,956	98,738	270	91	3,448	162,503
საბალანსო ღირებულება	135,000	88,454	223,684	164,170	747	609	15,814	628,478

4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31-12-21	31-12-20
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	99,304	36,999
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	38,091	25,303
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	113	0
სულ	137,508	62,302

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-21	31-12-20
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან	193,614	199,669
მოთხოვნები გაცემულ სესხებზე	66,142	100,623
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	156,983	19,000
მისაღები პროცენტები	14,612	26,457
სულ	431,351	345,749

6. მარაგები

	31-12-21	31-12-20
საქონელი	28,621	30,402
მასალა და ნედლეული	179,090	82,888
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	2,628	-
სულ	210,339	113,290

7. კაპიტალი

კომპანიას აქვს საწესდებო კაპიტალი 900 ლარი, ასევე აქვს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება. 2021 წლის მთლიანი სრული შემოსავალია 2 762 189 ლარი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე გაცემულია დივიდენდები 63 158 ლარი.

8. საგაჯრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-12-21	31-12-20
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	42,480	165,465
მიღებული ავანსები	1,836	22,758
საპენსიო შენატანის ანგარიშსწორების ანგარიში	7,354	-
საპენსიოს შუალედური (ფიზ. პირის წილი)	13	-
სულ	51,682	188,224

9. საგადასახადო ვალდებულებები

	31-12-21	31-12-20
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3	-
გადასახდელი დღგ	70	(3,472)
გადასახდელი ქონების გადასახადი	1,011	4,664
ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ერთიანი ანგარიში	17,694	11,292
სულ	18,778	12,485

10. ამონაგები

კომპანიის ამონაგები სრულად შეადგენს შემოსავალს კონტეინერების გაქირავებიდან, რომელიც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია 2 762 189 ლარით.

	31-12-21	31-12-20
შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან	2,758,043	1,445,512
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	4,147	2,173
სულ	2,762,189	1,447,685

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31-12-21	31-12-20
ძირითადი მასალის დანახარჯები/ შეძენა	(33,622)	(18,710)
კომუნალური ხარჯი	(6,245)	(3,475)
სხვა ზედნადები ხარჯები	(1,864)	(1,038)
გაყიდული/შეძენილი საქონელი	(2,024,367)	(1,126,518)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(13,574)	(7,554)
სულ	(2,079,671)	(1,157,294)

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31-12-21	31-12-20
საპენსიო შენატანის ხარჯი	(3,940)	(10,058)
ელექტროენერგიის ხარჯი	(14,290)	(38,830)
ბუნებრივი აირის ხარჯი	(995)	(2,540)
წყლის ხარჯი	(2,243)	(5,763)
ინტერნეტის ხარჯი	(600)	(1,532)
დასუფთავების ხარჯი	(84)	(5,072)
სატრანსპორტო ხარჯი	(2,975)	(7,595)
დაზღვევის ხარჯი	(14)	-
საბანკო ხარჯი	(3,324)	(8,488)
კომპიუტერის ხარჯი	(1,634)	(4,172)
საკონსულტაციო ხარჯი	(24,182)	(61,740)
რემონტის ხარჯი	(1,677)	(4,282)
შემოწირულობის ხარჯი	(1,836)	(2,344)
სალარო აპარატის მომსახურების ხარჯი	(98)	-
სხვა	(1,805)	-
სულ	(59,696)	(152,415)

13. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	31-12-21	31-12-20
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	2,273	-
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(1,827)	-
სულ	445	-

14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2021 წელს შეადგენს 12,712 ლარს. კომპანიას დაკავშირებულ მხარეები არ ყავს, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები.

15. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს არ მომხდარა.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს